ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 4

მიმდინარე წლის 11 მარტს დღის 12 სთ-ზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ლ. გუგავა, წევრები:- დ. პირველი, მ. ლიპარტელიანი, ი. ქურასბედიანი, მოწვეული სტუმარი საფინანსო სამსახურის უფროსი ტ. ჩანქსელიანი.

საფინანსო -საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში - 2023 წლის წლიური ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

/მომხ. ლ. გუგავა/

მოისმინეს: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ლამზირა გუგავამ კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის წლიური ანგარიშის თაობაზე. კერძოდ აღნიშნა, რომ მერიამ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 90-ე მუხლის თანახმად საკრებულოში შემოაგზავნა ანგარიში - 2023 წლის წლიური ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

საკრებულოს აპარატმა რეგისტრაციაში გაატარა ბიუჯეტის შესრულების ანგარიში და რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში რეგლამენტის 135-ე მუხლით დადგენილი წესით გამოაქვეყნა საჯარო განხილვისათვის. ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან ერთად გამოქვეყნდა ცნობა რომელშიც მითითებულია, რომ ანგარიში განსახილველად გადაეცა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია და ფრაქციები დასკვნას ბიუჯეტის ანგარიშთან დაკავშირებით საკრებულოს აპარატს გამოსაქვეყნებლად წარუდგენენ ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. საკრებულოს აპარატი რეგისტრაციაში ატარებს და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 10 დღისა, ამ რეგლამენტის 135-ე მუხლით დადგენილი წესით აქვეყნებს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიისა და საკრებულოს ფრაქციების დასკვნებს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით.

საკრებულო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვას იწყებს ანგარიშის გამოქვეყნებიდან არაუადრეს ორი კვირისა.

საკრებულომ, არა უგვიანეს 1 მაისისა უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება ბიუჯეტის წლიური ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ. საკრებულოს მიერ 1 მაისამდე ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილების მიუღებლობა ნიშნავს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დაუმტკიცებლობას.

წარმოდგენილი ანგარიში საკრებულოს თავმჯდომარის რეზოლუციით განსახილველად დაგვეწერა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას. შესაბამისად კომისიამ უნდა დავიწყოთ მუშაობა და ანგარიში განვიხილოთ მუხლობრივად.

კომისიამ ცნობად მიიღო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია - 2023 წლის წლიური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის წარმოდგენის თაობაზე და მიიღეს გადაწყვეტილება კომისიამ დაიწყოს მუშაობა ბიუჯეტის წლიური ანგარიშის განხილვაზე.

კომისიის სხდომა დამთავრდა დღის 14 სთ-ზე.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: /ლ. გუგავა./